მე მივედი	ჩვენ მივედით
შენ მიხვედი	თქვენ მიხვედით
ის მივიდა	ისინი მივიდნენ

Ապառնի ժամ. მომავალი დრო

მე მივალ	ჩვენ მივალთ
შენ მიხვალ	თქვენ მიხვალთ
ის მივა	ისინი მივლენ

ՏԵՔՍՏԵՐ ԸՆԹԵՐՑԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ
საკითხავი მასალა

მე, ბებია, ილიკო და ილარიონი
(ნაწყვეტი რომანიდან)

ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის, მარცხნივ ლაშის ღელე, რომელიც სავსეა კიბორჩხალებით, ღორჯოებით და შარვალაკაპიწებული ბიჭებით. გუბაზოულზე ხიდია გადებული, რომელსაც ბოგას ეძახიან. ყოველ გაზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიაქვს ხიდი და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვრჩება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია გურიაში, მე იგი ყველა სოფელზე უფრო მიყვარს ამქვეყნად, რადგან არ შეიძლება სხვაგან იყოს სოფელი, რომელშიც ვცხოვრობდე მე, ჩემი ბებია, ილარიონი, ილიკო და ჩემი ძაღლი მურადა.

***

ბებიაჩემი ბრძენი ქალია, ის მუდამ ასე მეუბნება:

-ისწავლე, შე სასიკვდილე, თორემ უსწავლელი დარჩები.

მეცნიერებაზე ბებიას თავისებური წარმოდგენა აქვს. ერთხელ, როდესაც აივანზე ვიჯექი და ხმამაღლა ვიზეპირებდი ქართული გრამატიკის ნორმებს, ბებიამ, სხვათა შორის, მკითხა:

-რასაა, რომ იზუთხავ, შვილო?

-ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.

-ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანი კაცი ვიცი მე.

-ეს სხვა პირია, ბებია, შენ რომ გგონია, ის არ არის.

-პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე.

-კარგი, აბა, მითხარი, რა არის პირი? ვკითხე ბებიას და წიგნი დავხურე.

-პირი რა არის და … პირი პირია.

-დაჯექი ბებია, გაკვეთილი არ იცი,- ორს გიწერ!

-ორს მოგცემ მე შენ, შე კუდიანო, ახლავე წადი და თხა გადა-აბი, თორემ იმდენს გირტყამ, რუმბივით გაგიხდი ცხვირპირს!

-აბა, ერთს კიდევ გკითხავ და მერე წავალ, რამდენი პირი არსებობს?

-პირი იმდენი არსებობს, რამდენიც კაცი დაიარება ამქვეყა-ნაზე და პირი იმიტომ არსებობს, რომ ენა დაატიოს კაცმა შიგ, გეყურება? პირი ზოგს პატარა აქვს, ზოგს დიდი, დიდი პირი ვისაც აქვს, იმას ღაფშიანს ეძახიან. არსებობს კიდევ უცხვირპირო ხალხი, მაგალითად, შენ.

-პირშავი ხალხიც არსებობს.- ვთქვი მე.

-მართალი ხარ, ჩვენი ფოსტალიონი, მაგალითად, პირშავია, კონვერტებს მარკებს აძრობს და მერე მეუბნება, უმარკო იყო, მანეთი მომეციო.

-მე როგორი ვარ, ბებია?

-შენ? პირზე მიწადასაყრელი, ამოუპირავი და ღვთის პირიდან გადავარდნილი. შენს პირში ჩემი მტერი ჩავარდა.

არ არსებობს ქალი გურიაში, რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს, ვიდრე ჩემს ბებიას, მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია, რაგან ერთხელ წამოცდა:- ნუ გეშინია, ბებია, როდესაც გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩემი ბებია ეჭვის თვალით უყურებს განათლების კომისარიატის უსულგულო გადაწყვეტი-ლებას იმის შესახებ, რომ ბავშვებს ყოველდღე ექვს-ექვსი გაკვე-თილი გვაქვს, თუმცა მე ამის საბაბს ბებიას არასოდეს არ ვაძლევ.

ჩემი მეცადინეობა ყოველდღე დიდი-დიდი ოთხ გაკვეთილამდე გრძელდება. მეოთხე გაკვეთილზე მე ვკარგავ დროისა და ზომიერების შეგრძნების უნარს და ზომაზე მეტად ხმამაღლა ვეკითხები ჩემს მეზობელს:

-რომულის ვენაცვალე, რომ არ ირეკება, ზარი მოიშალა ნეტავ, თუ დარაჯი?

რომული იკრიჭება, მასწავლებელი კი იშვერს ჩემსკენ თითს (თითით საჩვენებელი მოწაფე ვარ) და ალერსიანად მეუბნება:

-ახლავე გაეთრიე, გარეთ გაეთრიე და, სანამ მშობელს არ მოიყვან, სკოლაში არ მოეთრიო!

მე არ ვეკითხები მასწავლებელს - „რატომ˜, რადგან ასეთი დისკუსიის შემდეგ კამათში ცარცი და სახაზავი ერევა. უხმოდ ვიღებ ქუდს და გავდივარ.

-ნახვამდის!- ვეუბნები რომულის.

-ნახვამდის!- მეუბნება რომული და ხელს მიქნევს.

მეორე დღეს ბებია მიმყავს სკოლაში, მერე ბებიას მივყავარ სახლში, მერე ისევ ბებია მომყავს სკოლაში და ასე შემდეგ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე და ბებია ერთად ვამთავრებთ ათწლედს. ვფიქრობ, ეს ერთადერთი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში.

Բառացանկ
სიტყვანი

კიბორჩხალა - ծովախեցգետին
ღორჯო – ղորջո, մանր ծովաձուկ
შარვალაკაპიწებული- շալվարը վեր քշտած
მოვარდნილი წყალი – վարարած ջուր/գետ
მიაქვს ხიდი - կամուրջը տանում է
ბრძენი - իմաստուն
თავისებური წარმოდგენა - յուրահատուկ պատկերացում

ზმნის პირი- բայի դեմք
კუდიანი- պոչավոր
ენა დაატიოს- լեզուն պահի
ზომიერების შეგრძნება - չափի զգացում
არ ირეკება- չի զանգում
ცარცი და სახაზავი - կավիճ և քանոն
ხელს მიქნევს - ձեռքով է անում
მიმყავს - ինձ տանում է
მივყავარ -ես տանում եմ
ვამთავრებთ ათწლედს -ավարտում ենք տասնամյակը
კაცობრიობის ისტორიაში - մարդկության պատմության մեջ

მე, ბებია, ილიკო და ილარიონი
(გაგრძელება)

მე რა, მე ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭი ვარ, წიგნების ჩანთაში ხილი, შურდული და ფიშტო მიწყვია. დაზამთრებამდე სკოლაში ფეხშიშველი დავდივარ. მაქვს ერთი შარვალი და ყოველ წელს ორი საშემოდგომო გამოცდა. რადგან ჩემი ძაღლი, მურადა, სულ თან დამყვება, სოფელში სულძაღლიანს მეძახიან, სკოლაში – ყალთაბანდს, ხოლო ბებია კუდიანს მეძახის. ჩემი ნამდვილი სახელი ზურიკოა.

როდესაც ბებიას ვაბრაზებ, იმ ღამით საწნახელში მძინავს, როდესაც ვურიგდები, ერთად გვძინავს. დღისით ბებია მწყევლის და ზურგს უკან ამოფარებული წკეპლით მეპარება. ღამით ფეხებს მბანს და დაძინებულს მკერდზე მკოცნის.

სკოლაში როგორი ვარ? სკოლაში ჩემი ქცევის შესახებ არსებობს დოკუმენტი - „პედსაბჭოს სხდომის ოქმი” - რომელიც იმ შთაბეჭდილების წიგნს ჰგავს, უნიჭო მხატვრის გამოფენაზე

რომ დევს და გამვლელ-გამომვლელს ეხვეწებიან, თუ ძმა ხარ, რამე ჩაგვიწერე შიგო.

ეს დოკუმენტი, დაახლოებით, ასე გამოიყურება. სიტყვანი

№ სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1940 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი.

სხდომას ესწრებოდა: ყველა მასწავლებელი.

მოისმინეს: მეექვსე კლასის დამრიგებლის მოხსენება ამავე კლასის მოსწავლის ზურაბ ვაშალომიძის საქციელის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

მათემატიკის მასწავლებელმა:

„-ვაშალომიძე ჩემთვის ასუცნობიანი განტოლებაა და სანამ მასში ადამიანს ამოვიცნობ, ალბათ, სულს ამომხდის".

ფიზიკის მასწავლებელმა: (ფიზიკის მასწავლებელმა ჩემს პიროვნებაზე უშუალო დაკვირვებით ჩამოაყალიბა ფიზიკის ახალი, ურყევი კანონი).

„-არ არსებობს ბუნებაში ენერგია, რომელსაც შეეძლოს ვაშალომიძის მოძრაობაში მოყვანა. ეს არის სითხეში ჩაშვებული სხეული, რომელზედაც არ მოქმედებს არავითარი ამომგდები ძალა".

ქიმიის მასწავლებელი:

„-არავითარი რეაქცია, ზის და მთელი დღე მშლის. იგი რაღაც განსაკუთრებული ლაკმუსია, რომელზედაც არაფერი არ მოქმედებს, იგი არასოდეს არ წითლდება".

რუსულის მასწავლებელმა:

«По моему он просто идиот».

გეოგრაფიის მასწავლებელმა:

„-ვაშალომიძეს აქვს ერთობ რელიეფური ცოდნა. იგი ან შექანებულია, ან გამოფიტული. ვფიქრობ, მას სჭირდება ზომიერი სარტყელი, რომ სიგრძედი და განედი ერთი ჰქონდეს".

ისტორიის მასწავლებელმა:

„-იგი უფრო ქვის ხანის ადამიანია, ვიდრე მეოცე საუკუნის ცივილიზებული მოქალაქე. ძნელია დავათარიღოთ მომენტი, როდესაც იგი გაკვეთილზე წყნარად ზის. არავითარი პროგრესი, იგი არცხვენს თავის კლასს”.

სკოლის დარაჯმა:

„-რას ერჩით მაგ ბაღანას, თუ ასე შტერია, რაფერ გადადის კლასიდან კლასში”?

სასწავლო ნაწილის გამგემ:

„-შენ არავინ გეკითხება, შენი საქმეა დილას ადრე ადგე და ზარი დარეკო”.

ქართულის მასწავლებელმა: (ჩემი ახლო ნათესავია).

„-რა გააჭირეთ საქმე, ბოლოს და ბოლოს, დაახრჩვეთ ბარემ ბვშვი და ესაა, რომელი გყავთ მაგაზე კარგი? არც ისეა საქმე, დირექტორის შვილს რომ ყველაფერში ხუთები ჰყავს, იმაზე შტერი ბავშვი მე ჯერ არ შემხვედრია, ბუსავით ზის გაკვეთილზე”.

ფიზკულტურის მასწავლებელმა:

„-რატომ უწერ მერე ხუთს”?

ქართულის მასწავლებელმა:

„-ნუ დაუწერ, თუ ბიჭი ხარ”!

სასწავლო ნაწილმა:

„-გაჩუმდით ორივე! შენ რას გვეტყვი, ვაშალომიძე”?!

ვაშალომიძე:

„-მართალს ამბობს ქართულის მასწავლებელი”!

სასწავლო ნაწილი:

„-მაგას არავინ გეკითხება, შენ საერთოდ რას გვეტყვი”?! ვაშალომიძე:

„-საერთოდ, ახლა მაპატიეთ და მერე გამოვსწორდები!»

ამის მსმენელს მე დიდხანს ეჭვიც კი მეპარებოდა ჩემს ჯანმრთელობასა და ნორმალურობაში, მაგრამ ერთმა შემთხვევამ

გამიფანტა ეჭვები. საქმე იმაშია, რომ ერთი კვირის განმავლობაში სახლში ჯდომამ მოომიწია, ყანა მქონდა გასათოხნი, ესე იგი, სკოლა უნდა გამეცდინა. გაცდენისათვის რომ სკოლიდან არ გავერიცხეთ, საჭირო იყო ექიმის მოწმობა. ჩემს სოფელში ჯენმრთელებს ავადმყოფობის მოწმობას იმ ხანებში, საუბედუროდ, არ აძლევდნენ. საჭირო შეიქნა ჩემი ერთი საათით ლოგინში ჩაწვენა, ექიმის მოყვანა და ცნობის აღება. ამისათვის დილიდან მაშიმშილეს, ავადმყოფის ფერი რომ დამდებოდა, თავი პირსახოცით გამიკრეს და ბებია ექიმის მოსაყვანად წავიდა. ნახევარ საათში ექიმმა ეზოში ცხენი შემოაჯირითა.

Բառացանկ
სიტყვანი

ჩვეულებრივი სოფლელი - սովորական գյուղացի
შურდული და ფიშტო - պարսատիկ և փշտով, թրխկան
ფეხშიშველი - ոտաբոբիկ
საშემოდგომო - աշնանային
სულმაღლიანს - շնապան (բառացի՝ միշտ շան հետ)
ფეხებს მბანს - ոտքերս լվանում է
მკერდზე მკოცნის - կուրծքս համբուրում է
კლასის დამრიგებლი - դասղեկ
აზრი გამოთქვეს - կարծիք հայտնեցին
ასუცნობიანი განტოლება - հարյուր անհայտով հավասարում
სულს ამომხდის - հոգիս հանում է
ურყევი - անխորտակ, անխախտ
სითხეში ჩაშვებული - հեղուկի մեջ ընկղմված
ამომგდები ძალა - կործանարար ուժ
განსაკუთრებული ლაკმუსი - առանձնահատուկ լակմուս
შექანებული - պակասամիտ
გამოფიტული - հյուծված, ուճասպառ
ზომიერი სარტყელი - չափավոր գոտի

ქვის ხანის - քարեդարյա
არცხვენს - խայտառակում է
შტერი - հիմար, դանդալոշ
ბუსავით - բուի նման
გამოვსწორდები - կուղղվեմ
გამიფანტა ეჭვები - փարատեց կասկածներս
ყანა მქონდა გასათოხნი - արտ ունեի թորխելու
საუბედურო - դժբախտաբար
ცნობა - տեղեկանք
ექიმის მოსაყვანად - բժիշկ բերելու
ცხენი შემოაჯირითა- ձին ցառս եղավ

მ ი ნ ი ა ტ ი უ რ ე ბ ი –
Մ Ա Ն Ր Ա Պ Ա Տ Ռ Ի Մ Ն Ե Ր

კურდღლები და ბაყაყები
Նապաստակները և գորտերը

კურდღლებმა თქვეს: ყველა ჩვენ გვაშინებს, გვჩაგრავს, გვჭამს. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო, და ტბისაკენ გაიქცნენ.

კურდღელების მიახლოვებისას ტბის პირას მყოფი ბაყაყები ტყაპა-ტყუპით გადახტნენ წყალში.

-მოიცათ!- გააჩერა თანამოძმენი წინა კურდღელმა,- ხედავთ? თურმე ჩვენიც ვიღაცას ეშინია და სასიკვდილოც არაფერი გვჭირსო.

კურდღლებმა დაუჯერეს თავის წინამძღოლს და სიხარულით დაუბრუნდნენ ბუჩქებს.

Բառացանկ
სიტყვანი

გვაშინებს - մեզ վախեցնում են
გვჩაგრავს - մեզ կեղեքում են
გვჭამს - մեզ ուտում են
სჯობია - ավելի լավ է
ტბისაკენ - դեպի լիճը
გაიქცნენ - վազեցին
თავის დასახრჩობად - ջուրը նետվելու, խեղդվելու

გადახტნენ - նետվեցին, ցատկեցին
მოიცათ! - սպասե՛ք
თანამოძმენი - եղբայրակիցներ
ეშინია - վախենում է
არაფერი გვჭირსო - կարիք չունենք
დაუჯერეს - հավատացին
დაუბრუნდნენ - վերադարձան
ბუჩქი - թուփ

ავადმყოფი ექიმი და მწახველები –
Հիվանդ բժիշկը և այցելուները

ერთი ექიმი ავად გახდა. მასთან სანახავად მივიდნენ მეგობრები და ბევრი ილაპარაკეს. ერთმა მეგობარმა ხუმრობით ჰკითხა ექიმს:

კოლეგებს რას ურჩევო.

ექიმმა უპასუხა:

-როდესაც ავადმყოფთან მოხვალთ, ბევრი ლაპარაკით ნუ შეაწუხებთო.

Բառացանկ
სიტყვანი

სანახავად - տեսակցության
ილაპარაკეს - խոսեցին
ხუმრობა - կատակ
ჰკითხა - հարցրեց
რჩევა - խորհուրդ
ჯანმრთელი - առողջ
ნუ შეაწუხებთ - չանհանգստացնեք

უსარგებლო ოქრო
Անօգտակար ոսկին

ერთმა კაცმა მიწაში ოქრო დამალა. ყოველ ღამეს მიდიოდა და ამოწმებდა, იყო თუ არა ადგილზე მისი დამალული ოქრო. ეს დაინახა მეორე კაცმა და ის ოქრო ჩუმად ამოიღო, მის ნაცვლად კი ქვა ჩადო. ღამით პატრონი კვლავ მოვიდა, მაგრამ ოქრო რომ ვერ ნახა, ხმამაღლა დაიწყო ტირილი. მეორე კაცმა უთხრა: რატომ ტირი? შენთვის სულ ერთი არ არის, რა იდება მიწაში უსარგებლოდ - ოქრო თუ ქვაო.

Բառացանկ
სიტყვანი

მიწა - հող
დამალა - թաքցրեց
ამოწმებდა - հավաստիանում էր
დაინახა - տեսավ
ჩუმად - լուռ, այստեղ՝ թաքուն
ამოიღო - հանեց
მის ნაცვლად - նրա փոխարեն
ჩადო - դրեց
დაიწყო - սկսեց
ტირილი - լաց լինել
რა იდება - ինչ է դրված

კურდღელი და ზღარბი
Նապաստակը և ոզնին

კურდღელი ზღარბს შეხვდა და უთხრა:

-ძმობილო, ეგ რა უშნო ეკლიანი ტანსაცმელი გქონია!

-მართალია,- უპასუხა ზღარბმა,- მაგრამ სწორედ ეგ ეკლიანი ტანსაცმელი მშველის მე ძაღლისა და მგლის კბილებისაგან. შენ რა გშველის?

-ფეხები,- უპასუხა კურდღელმა

Բառացանկ
Սոֆյվանո

უშნო - տգեղ
ეკლიანი - փշոտ
ტანსაცმელი - հագուստ
მართალი - արդար, ճիշտ
უპასუხა - պատասխանեց նրան
სწორედ - ճիշտ
მშველის - ինձ փրկում է
ძაღლი - շուն
მგელი - գայլ
კბილებისაგან - ատամներից
შენ რა გშველის? - քեզ ի՞նչն է փրկում
ფეხები - ոտքերս

სად არის ცეილონი
Որտե՞ղ է Ցեյլոնը

-მამა, სად არის ცეილონი?- ეკითხება შვილი მამას, რომელიც ტელევიზორს უყურებს.

-შენ თვითონ მოძებნე,- უპასუხებს მამა.

-მე ვეძებ, მაგრამ ვერ მიპოვია,- კვლავ წუწუნებს ბავშვი.

-მაშინ დედას ჰკითხე, ის ალაგებს ხოლმე შენს ტანსაცმელს,- ბრაზობს მამა.

Բառացանկ
სიტყვანი

ეკითხება - հարցնում է
რომელიც - որը
უყურებს - նայում է
თვითონ - ինքդ
მოძებნე - փնտրիր
ვეძებ - փնտրում եմ
კვლავ - դարձյալ
წუწუნებს - նվնվում է
დედას ჰკითხე - մայրիկին հարցրու
ის ალაგებს - նա է հավաքում
შენს ტანსაცმელს - քո շորերը
ბრაზობს - զայրանում է

თეატრში
Թատրոնում

სპექტაკლის მსვლელობის დროს ორი ქალი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, რითაც ხელს უშლიდა სხვებს. ერთმა კაცმა, რომელიც ამ ქალების უკან იჯდა, შენიშვნა მისცა:

-ბოდიში, თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ მე მიჭირს მოსმენა.

-არც არის საჭირო, რომ გვისმენდეთ: ჩვენ ჩვენს პირად საქმეებზე ვლაპარაკობთ,- მიუგეს ქალებმა.

Բառացանկ
სიტყვანი

მსვლელობა - ներկայացում
განუწყვეტლივ - անդադար
ხელს უშლიდა - խանգարում էր
უკან იჯდა - հետևում նստած էր
შენიშვნა მისცა - դիտողություն արեց
მიჭირს მოსმენა - դժվարանում եմ լսել
არც არის საჭირო - ոչ էլ կարիք կա
გვისმენდეთ - մեզ լսեք
პირად საქმეებზე - անձնական գործերից
მიუგეს - ասացին

მეტროში
Մետրոյում

მეტროს ვაგონში სხედან დედა და ორი მისი შვილი. დედა რაღაც საინტერესო წიგნის კითხვითაა გართული.

-დედა,- რაღაცის თქმა უნდა გოგონას.

-ნუ მიშლი ხელს,- აწყვეტინებს დედა.

ბავშვი ჩუმდება.

ერთ გაჩერებაზე დედამ წიგნი დახურა, ჩანთაში ჩადო, წამოდგა და შვილს მიმართა;

-ჩავდივართ, შენი ძმა სადღაა?

-ის უკვე ჩავიდა,- უპასუხა შვილმა.

-როდის?- გაუკვირდა დედას.

-მე რომ ხელი შეგიშალე,- დააზუსტა გოგონამ.

Բառացանկ
სიტყვანი

სხედან - նստած են
გართული - զբաղված
თქმა უნდა - ասել է ուզում
ნუ მიშლი ხელს - մի՛ խանգարիր
აწყვეტინებს - ընդհատում է
ჩუმდება - լռում է
წიგნი დახურა - գիրքը փակեց
ჩანთაში ჩადო - պայուսակի մեջ դրեց
წამოდგა - վեր կացավ
მიმართა - դիմեց
სადღაა? - որտե՞ղ է
გაუკვირდა - զարմացավ
მე რომ ხელი შეგიშალე - երբ ես քեզ խանգարում էի
დააზუსტა - ճշգրտեց

უსუნო ყვავილი
Անբույր ծաղիկը

ერთმა ყმაწვილმა მინდორში მშვენიერი უსუნო ყვავილი იპოვა. მას ძალიან მოეწონა ყვავილი, მოგლიჯა იგი და თავის ვარდის დიდ კონაში ჩაარჭო.

ცოტა ხნის შემდეგ ამოაძრო კონიდან, უსუნა და იგრძნო, რომ უსუნო ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა. ყმაწვილი დაფიქრდა და თქვა:

-ჰო, ახლა კი მივხვდი, რათომ მირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებთან ყოფნასო.

Բառացանկ
სიტყვანი

ყმაწვილი - պատանի
მინდორი - դաշտ, հովիտ
მშვენიერი - հրաշալի
იპოვა - գտավ
მოეწონა - հավանեց
მოგლიჯა - պոկեց
კონა - փունջ
ჩაარჭო -խցկեց, խոթեց
ამოაძრო - քաշեց, հանեց
იგრძნო - զգաց
საამური სუნი - հաճելի բույր
მისცემოდა - արձակում էր
მირჩევს - խորհուրդ է տալիս

ქურდი და მამალი
Գողը և աքլորը

ქურდი სტუმრად იყო. მასპინძელი ოჯახიშვილურად დაუხვდა. ქურდმა მაინც თავისი არ დაიშალა, მასპინძელს მამალი მოჰპარა, კალთაში გამოიხვია და გაიპარა.

პატრონი უკან დაედევნა, დაეწია და მამალი ჰკითხა. ქურდი ეფიცებოდა, არა ვიცი - რაო; კალთიდან კი მამალს ბოლო უჩანდა.

პატრონმა უპასუხა: «ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

Բառացանկ
სიტყვანი

სტუმარი - հյուր
მასპინძელი - հյուրընկալը
ოჯახიშვილურად - որպես տան անդամ
დაუხვდა - դիմավորեց, ընդունեց
თავისი არ დაიშალა -սովորույթը չմոռացավ
კალთაში - փեշի տակ
უკან დაედევნა - հետևից ընկավ
დაეწია და ჰკითხა -հասավ և հարցրեց
ეფიცებოდა - երդվում էր
ბოლო უჩანდა - պոչը երևում էր
ფიცი მწამს - երդումիդ հավատում եմ
მაკვირვებსო - ինձ զարմացնում է

მერცხალი და მეცხვარე
Ծիծեռնակը և հովիվը

ზამთარი მიწურული იყო. ერთი მერცხალი დაწინაურებულიყო, ადრე მოვიდა ჩვენს ქვეყანაში და ჭიკჭიკი მორთო. მეცხვარეს ეგონა, ეგ არის გაზაფხული დადგაო. ადგა და ცხვრები დაკრიჭა. მაგრამ მეორე დღეს დადგა სიცივე, მოვიდა თოვლი და დაკრეჭილი ფარა ცხვარი სულ გაუწყვიტა. მაშინ მეცხვარემ თქვა:

-ახლა კი ვხედავ, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

Բառացանկ
სიტყვანი

მეცხვარე - հովիվ
მიწურული იყო - ավարտվում էր
დაწინაურებულიყო - առաջ էր ընկել
ადრე - շուտ
ჭიკჭიკი მორთო - սկսեց ծլվլալ
ეგონა - կարծեց
გაზაფხული დადგაო - գարունը եկավ
დაკრიჭა - խուզեց
დადგა სიცივე - սկսեց ցրտել
თოვლი - ձյուն
ფარა ცხვარი - ոչխարի հոտը
გაუწყვიტა - սատկեցին
ახლა კი ვხედავ - հիմա եմ տեսնում
გაზაფხულს ვერ მოიყვანსო - գարուն չի բերում

ტვირთი
Բեռը

გზაში ერთ მოხუცს ახალგაზრდა წამოეწია და ცოტა დაცინვით უთხრა:

-რა ნელა მოდიხარ, გამოადგი ფეხიო. მოხუცმა უპასუხა:

-მეც რომ ცარიელი ვიყო, შენსავით ჩქარა ვივლიო.

ჭაბუკს გაუკვირდა:

-შენც ცარიელი არა ხარ? მარტო ერთი ჯოხი გიჭირავს ხელშიო.

-ხელში ერთი ჯოხი მიჭირავს, ზურგზე კი სამოცდაათი წელი მკიდიაო,- გაუსწორა მოხუცმა.

Բառացանկ
სიტყვანი

მოხუცი - ծերունի
წამოეწია - հասավ
დაცინვით - հեգնանքով, ծաղրելով
უთხრა - ասաց
ნელა - դանդաղ
გამოადგი ფეხი - արագ քայլիր
ცარიელი - դատարկ
ჩქარა ვივლიო - արագ կգնամ
ჭაბუკს გაუკვირდა - պատանին զարմացավ
ჯოხი გიჭირავს ხელში - փայտ ունես ձեռքիդ
ზურგზე მკიდიაო - մեջքիս դրված է
გაუსწორა - ուղղեց

მეფე და მხატვარი
Թագավորը և նկարիչը

იყო ერთი ცალთვალა მეფე. მას ჰყავდა მხატვარი. მეფე ეძებდა მიზეზს, რომ მხატვარი დაესაჯა. ერთხელ მეფემ უბრძანა მხატვარს -დამხატეო.

მხატვარი შეწუხდა: თუ დავხატავ ორთვალას-მომკლავს:მე ასეთი არა ვარო. თუ დავხატავ ცალთვალას-მაინც მომკლავს:რო-გორ გამიბედეო.

ბევრი იფიქრა მხატვარმა და ასე მოიქცა:სურათზე მეფეს თოფი ეჭირა და ირემს უმიზნებდა საღი თვალით. ბრმა თვალი კი დახუჭული ჰქონდა.

ასე აიცილა მხატვარმა სიკვდილი.

Բառացանկ
სიტყვანი

ცალთვალა – միակնանի
ეძებდა მიზეზს – պատճառ էր փնտրում
დაესაჯა – պատժեր
უბრძანა – կարգադրեց
შეწუხდა – վշտացավ
მომკლავს – ինձ կսպանի
გამიბედე – համարձակվեցիր
იფიქრა – մտածեց
უმიზნებდა – նշան էր բռնել
დახუჭული – փակ, խուփ արած
აიცილა – խուսափեց

ერთობის ძალა
Միասնության ուժը

იყო ერთი კაცი. ჰყავდა ათი ვაჟი. როდესაც სიკვდილის დრო მოუახლოვდა, დაუძახა შვილებს, მოატანინა ათი ისარი და მაგრა შეაკვრევინა კონად. მერე უთხრა.

-ეს კონა გადატეხეთო.

შვილებმა ვერ გადატეხეს.

შემდეგ დააშლევინა ისრები და სთხოვა სათითაოდ დაემტვრიათ.

ვაჟებმა ადვილად დაამტვრიეს ისრები.

მაშინ მამამ უთხრა შვილებს:

-წეღან ისრების კონა ვერ გადატეხეთ, სათითაოდ კი ადვილად დაამტვრიეთ. ასე დაგემართებათ ცხოვრებაში. თუ მეგობრულად იცხოვრებთ, მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, ცალ-ცალკე კი ადვილად გძლევთო.

Բառացանկ
სიტყვანი

სიკვდილი - մահ
მოატანინა - բերել տվեց
შეაკვრევინა კონად - փունջ կապել տվեց
გადატეხეთ - կոտրեք
ვერ გადატეხეს - չկարողացան կոտրել
დააშლევინა ისრები - առանձնացրեց նետերը
სთხოვა სათითაოდ დაემტვრიათ - պահանջեց՝ մեկ-մեկ կոտրեն
ასე დაგემართებათ ცხოვრებაში - այդպես կլինի ձեր կյանքում
თუ მეგობრულად იცხოვრებთ - եթե մտերմաբար ապրեք
მტერი ვერაფერს დაგაკლებთ - թշնամին ոչինչ չի կարող անել ձեզ
ცალ-ცალკე გძლევთო - առանձին-առանձին կհաղթի ձեզ

ლომი და თაგვი
Առյուծը և մուկը

ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ტანზე გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და თაგვი დაიჭირა.

თაგვმა უთხრა:

-გამიშვი და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდიო.

ლომს გაეცინა და თაგვი გაუშვა.

გავიდა ხანი. მონადირეებმა ლომი დაიჭირეს და თოკით ხეზე მიაბეს. უნდოდათ მერე მოსულიყვნენ და ცოცხალი წაეყვანათ.

მონადირეები რომ წავიდნენ, ლომმა ღრიალი მორთო, თაგვს შემოესმა, მოცუნცულდა, გადაღრღნა თოკი, გაათავისუფლა ლომი და უთხრა:

-გახსოვს, რომ დამცინოდი. ახლა ხომ ხედავ, პატარა თაგვსაც შესძლებია დახმარება დიდი და მძლავრი ლომისაო.

Բառացանկ
სიტყვანი

ეძინა - քնել էր
ტანზე გადაურბინა - մարմնի վրայով վազվզեց
გამოიღვიძა და დაიჭირა - արթնացավ և բռնեց
გამიშვი - ինձ բա՛ց թող
სიკეთეს გადაგიხდიო - բարությամբ կհատուցեմ
თოკით მიაბეს - պարանով կապեցին
უნდოდათ წაეყვანათ -ցանկանում էին տանել
ღრიალი მორთო - սկսեց մռնչալ
გადაღრღნა თოკი - կրծեց պարանը
გაათავისუფლა - ազատեց
დამცინოდი - ծիծաղում էիր ինձ վրա
შესძლებია დახმარება - կարող է օգնել
დიდი და მძლავრი - մեծ և հզոր

ირემი
Եղջերուն

ირემმა წყალში ჩაიხედა და თავისი ჩრდილი დაინახა. ძალიან მოეწონა თავისი გრძელი და შტოიანი რქები. მერე ფეხებზე დაინახა და თქვა: რა ლამაზი ვიქნებოდი, ეს წვრილი და გრძელი ფეხები რომ არ მაუშნოებდესო.

უცებ ტყიდან გამოხტა ლომი და გაექანა ირმისაკენ. ირემი ტრიალ მინდორზე ისარივით გაეშვა. ლომი უკან დარჩა. მაგრამ, როცა ირემი ტყეში შევარდა, რქებით გაეხლართა ხის ტოტებში. ლომი მივარდა და დაიჭირა. იღუპებოდა ირემი და ამბობდა: ჰაი, შე სულელო ჩემო თავო! რასაც იწუნებდი, იმათ ხიფათს გადაგარჩინეს და რაც მოგწონდა, იმათ კი დაგღუპესო.

Բառացանկ
სიტყვანი

წყალში ჩაიხედა - նայեց ջրի մեջ
ჩრდილი დაინახა - ստվերը տեսավ
მოეწონა - հավանեց
გრძელი და შტოიანი რქები - երկար և ճյուղավոր եղջյուրներ
წვრილი და გრძელი ფეხები - մանր և երկար ոտքեր
გაექანა - սլացավ
ტრიალ მინდორზე - հարթ դաշտում
ისარივით გაეშვა -նետի նման պոկվեց
რქებით გაეხლართა - եղջյուրներով խճճվեց
მივარდა და დაიჭირა - հասավ և բռնեց
იღუპებოდა - կործանվում էր
ხიფათს გადაგარჩინეს - փորձանքից փրկեցին
დაგღუპესო - կործանեցին քեզ
ორი მეგობარი და დათვი – Երկու ընկեր և արջը

ორი მეგობარი მიდიოდა გზასა. წინ დახვდათ დათვი. ერთი მაშინვე ხისკენ გაექანა, საჩქაროდ ავიდა ზედა და იქ დაიმალა. მეორე რომ მარტო დარჩა, მიწაზე დაეცა და თავი მომიკვდარუნა. მოვიდა დათვი და ყური დაადო. კაცმა სული შეიგუნა, იცოდა, დათვი მკვდარს არას ერჩის. მართლა, დათვმა არა დაუშავა რა და თავის გზაზე წავიდა. მაშინ ხიდან მისი ამხანაგი ჩამოვიდა და ჰკითხა:

-დათვი ყურში რას გეჩურჩულებოდაო?

-მირჩევდა, კვლავ ნუღარ წახვალ იმისთანა მეგობართან, რომელმაც გაჭირვების დროს ღალატი იცისო.

Բառացանկ
სიტყვანი

მიდიოდა გზასა - գնում էին ճանապարհով
დახვდათ დათვი - հանդիպեցին արջի
ხისკენ გაექანა - վազեց դեպի ծառը
საჩქაროდ ავიდა - շտապ բարձրացավ
დაიმალა - թաքնվեց
მარტო დარჩა - մենակ մնաց
მიწაზე დაეცა - գետնին փռվեց
თავი მომიკვდარუნა - մեռած ձևացավ
სული შეიგუნა - շունչը պահեց
არა დაუშავა - չվնասեց
თავის გზაზე წავიდა - իր ճանապարհով գնաց
ყურში რას გეჩურჩულებოდა - ականջիդ ինչ էր շշնջում
მირჩევდა - խորհուրդ տվեց
ნუღარ - այլևս
იმისთანა მეგობართან - նրա նման ընկերոջ հետ
გაჭირვების დროს - վտանգի ժամանակ
ღალატი იცისო - դավաճանել գիտի

ტყუილი ტირილი
Կեղծ լաց

ერთი ყმაწვილი ქალი იყო. წავიდა წყლის მოსატანად. წყლის პირას დაჯდა ხის ძირში. იფიქრა: მე რომ გავთხოვდე, შვილი მომეცემა, წყალზე ჩამოვა, ამ ხეზე ავაო, ხიდან რომ ჩამოვარდეს, ამ წყალში ჩამივარდება და დამეხრჩობაო - უი, შენ დედასაო!

მოჰყვა ტირილს. ამასობაში დედაც აქ მოვიდა და ქალს ჰკითხა:

-რა გატირებს, შვილო?

-რაღა რა მატირებსო,- უთხრა ქალმა,- რომ გავთხოვდე და შვილი მომეცეს, აქ მოვა, ხეზე ავა, ჩამივარდება წყალში, დამეყუპება და ბებიას ვიღა დაგიძახებს, როგორ არ ვიტიროო.

-უი, შენ დედასა, ეგ რა მოგვსლიაო!- დაიწყო დედამ მოთქმა და მოჰყვა ტირილს.

მოვიდა ქალის მამა:

-რა გატირებთო, რა დაგმართნიათო?

-ასე და ასეა, ქალი რომ გაგვითხოვდეს, შვილი მიეცეს, ამ ხეზე ავიდეს და ჩამოვარდეს, წყალში რომ დაიხრჩოს, პაპას ვიღა დაგიძახებსო; შენ კი არ იტირებ შვილიშვილსა, პაპა ხარო?

-დაიცა, ამ ხეს ტოტს მოვტეხ, რომ ყმაწვილი არ ავიდესო!

მოსტეხა და ურტყა ცოლსა და ქალიშვილს.

Բառացանկ
სიტყვანი

ყმაწვილი ქალი - մանկամարդ աղջիկ
წყლის მოსატანად - ջուր բերելու
გავთხოვდე - ամուսնանամ
შვილი მომეცემა - որդի կունենամ

ხეზე ავაო - ծառ կբարձրանա
ჩამივარდება - ներքև կընկնի
დამეხრჩობო - կխեղդվի
რა გატირებს - ինչու ես լաց լինում
ვიღა დაგიძახებს - ով կկանչի
რა დაგმართნიათ - ինչ է պատահել
არ იტირებ - չես լացի
დაიცა - սպասիր
ტოტს მოვტეხ - ճյուղը կտրեմ
ურტყა - խփեց

ცერცვი და ცეცხლი
Սիսեռահատիկը և կրակը

ერთი მღვდელი თავზე დაესწრო ცოლს, კუროს რომ ეტრ-ფიალებოდა. დააევლო კეტს ხელი და შეუტია. კურო სარკმ-ლიდან გავარდა. მღვდელი გამოუდგა და მორთო ყვირილი:

-დაიჭირეთ, ნუ გაუშვებთ მაგ ქურდს, მაგ ავაზაკსო!

მოგროვდა ხალხი და შეაკავეს გაქცეული.

ბაღში რომ გარბოდა, იმ დროს რამდენიმე ცერცვი მოგლიჯა და მუჭში ეჭირა. ხალხმა ჰკითხა:

-რა ამბავიაო?

-როგორ რა ამბავია! მღვდლის ბაღში ეს ერთი მუჭა ცერცვი მოვგლიჯე და ამისათვის მომდევს მოსაკლავად, აღარ მზოგავს და მიშველეთო!

ხალხს გაუკვირდა, ბიჭი გაუშვა, გადაეღობა წინ მღვდელს და დაუწყო საყვედური:

-მღვდელო, როგორ გეკადრება უბრალო რამეზე მოთმინების დაკარგვა? ერთი მუჭა ცერცვისათვის კაცი ვის მოუკლავს, რომ შენ მოგაკვლევინოთო!

მღვდელი ოჯახის გაკიცხვას მოერიდა, რაც იყო, ვეღარ გაამხილა, წაიშინა თავში ხელი და აღრიალდა:

-შვილებო, ვინც არ იცის-ცერცვია, მაგრამ, ვინც იცის-ცეცხლია! მეტი რაღა მეთქმისო,- თქვა და გამობრუნდა შინისაკენ.

Բառացանկ
სიტყვანი

მღვდელი - քահանա
თავზე დაესწრო - բռնեցրեց
კურო - հոմանի, սիրեկան
ეტრფიალებოდა - սիրահետում էր
დააევლო კეტს ხელი - ձեռքը գցեց մահակին
შეუტია - հարձակվեց
გავარდა - փախավ
გამოუდგა - հետապնդեց
მორთო ყვირილი - սկսեց աղաղակել
ნუ გაუშვებთ - բաց չթողնեք
მოგროვდა ხალხი - ժողովուրդ հավաքվեց
შეაკავეს გაქცეული - բռնեցին փախչողին
რა ამბავია - ի՞նչ է պատահել

ՀԵՔԻԱԹՆԵՐ
ზღაპრები

ჭაბუა ამირეჯიბი
ՃԱԲՈՒԱ ԱՄԻՐԵՋԻԲԻ

თაფლის წვეთი
Մեղրի կաթիլը

ჭიანჭველების ხელმწიფეს დაბადების დღე ჰქონდა. ფუტკრების დედოფალმა მისალოცად ელჩი გაუგზავნა. ხელმწიფე ფუტკარი დიდი პატივით მიიყო. ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულითა და ხილ-ჩურჩხელით გაუმასპინძლდა. საუკეთესო ღვინოები ჯიხვის ყანწებით მიართვა. ვერცხლის ქამარ-ხანჯალი უბოძა. ასი ჭიანჭველა საგზლით დაუტვირთა და, გზაში არაფერი გაუჭირდესო, სამეფოს საზღვრამდე ულვაშებდაწკეპილი მეომრები გააყოლა.

შეზარხოშებულმა ფუტკარმა გზად ჭიანჭველების იონჯის ყანები ნახა; იფიქრა, ცარიელი რატომ ვიაროო, იონჯის ყანებს დააცხრა, თაფლი მოაგროვა და ისევ გზას გაუდგა.

საზღვარზე მივიდნენ. გამომშვიდობებისას ჭიანჭველებმა უთხრეს:

-ეგ თაფლი, ბატონო ელჩო, აქ დაგვიტოვე და ისე მიბრძანდიო!

ფუტკარს გაუკვირდა.

-თქვე, კაი ხალხო, ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულითა და ხილ-ჩურჩხელით გამიმასპინძლდით, საუკეთესო ღვინოები ჯიხვის ყანწებით მომართვით. ვერცხლის ქამარ-ხანჯალი წელზე შემომარტყით, ასი ჭიანჭველა საგზლით დამიტვირთეთ და ეს ერთი წვეთი თაფლი რაღა ბედენაა, რომ გენანებათ და მატოვებინებთო?

ჭიანჭველებმა მიუგეს:

-ის ჩვენი ნებით მოგართვით, ეგ კი დაუკითხავად მიგაქვს. გეთხოვნა, სამას ჭიანჭველას თაფლით დაგისაპალნებდით და ძღვნად გაგატანდით. უნებართვოდ კი, არც მაგ ერთ

წვეთს გაგატანთო!

ფუტკარმა გაიფიქრა, ფუტკარა მაინც არ ვიყო, ეს საჯაყი საქმე როგორ დამემართაო, თაფლი ჭიანჭველებს დაუბრუნა და დარცხვენილი შინისკენ წავიდა.

Բառացանկ
სიტყვანი

ჭიანჭველა - մրջյուն
ხელმწიფე - թագավոր, տիրակալ
დაბადება - ծնունդ
დღე - օր
ფუტკარი - մեղու
მისალოცად - շնորհավորելու
ელჩი - դեսպան
გაუგზავნა - ուղարկեց
შემწვარ-მოხრაკული - խորոված - տապակած
ხილ-ჩურჩხელ - միրգ - չուչխել
გაუმასპინძლდა - հյուրընկալեց
ჯიხვი -քարայծ
ყანწი -եղջյուր, կոտոշ /գինի, օղի խմելու/
მიართვა -հյուրասիրեց

რევაზ ინანიშვილი
Ռևազ Ինանիշվիլի

პატარა პოეტის გზა
(ნაწყვეტი)
Փոքրիկ պոետի ուղին
(հատված)

ეს უკვე ზღაპარია, ძველებური,
ბუხრისპირული ზღაპარი.

ერთ ქალაქში ერთი პოეტი ცხოვრობდა: პატარა ბინა ჰქონდა, სამსახურშიც პატარა კუთხე და მაგიდა ჰქონდა დათმობილი, იშოვიდა პაწაწინა თავისუფალ დროს და პატარ-პატარა ლექსებს და მოთხრობებს წერდა. იღებდა ქაღალდსა და ფანქარს, მიჯდებოდა სადმე მყუდრო ადგილას და წერდა წიკწიკა //წვრილი/ ასოებით: იყო და არა იყო რა, ერთ პატარა ქვეყანაში ერთი პატარა კაცი იყოო, ამ კაცსო ყველაფერი პატარა ჰყოფნიდაო, თვით სიხარულიც კიო, დადიოდა და ამ პატარა სიხარულს დაეძებდაო. ნახავდა, მაგალითად, ბალახის ყურში ჩარჩენილ კამკამა წვეთს, რომელშიც მზის სხივი იყო ჩაძინებული, და პატარას გაიხარებდაო. კიდევ წავიდოდა, ნახავდა, მაგალითად, პატარა ბიჭი პატარა ხბოს ეთამაშებოდა და კიდევ პატარას გაიხარებდაო. სულ ასე წერდა-პატარა, პატარა... ამის გამო თვითონაც პატარა პოეტი ერქვა.

რასაც დაწერდა, პირველად თავის მეუღლეს და ბავშვებს წაუკითხავდა. მეუღლე, რა თქმა უნდა, ერთი ჰყავდა, ბავშვი კიორი-პატარა გოგონა და პატარა ბიჭი. თუ მისი ნაწერი პატარა სიხარულს მოჰგვრიდა მეუღლეს და ბავშვებს, მაშინ წიგნაკადაც დააბეჭდვინებდა, იქნებ სხვებსაც მოვგვარო სიხარულიო. წიგნის

დამბეჭდავები პატარა ფულებს აძლევდნენ. იმ ფულებით პატარა პოეტი პატარა ფეხსაცმ/ე/ლებს, ქუდებს, პერანგებს და ასეთ რამეებს ყიდულობდა. მიუტანდა თავის ბავშვებს და... პატარა გოგონას და პატარა ბიჭს ძალიან უყვარდათ თავიანთი პატარა პოეტი მამა.

Բառացանկ
სიტყვანი

ბინა - բնակարան
ჰქონდა - ուներ
სამსახური - աշխատանք
კუთხე - անկյուն
მაგიდა - սեղան
დათმობილი - հատկացված
იშოვიდა - գտնում էր
პაწაწინა - փոքրիկ
თავისუფალი - ազատ
დრო - ժամանակ
ლექსები - բանաստեղծություններ
მოთხრობები - պատմվածքներ
სამსახურშიც - աշխատավայրում նույնպես
ქაღალდი - թուղթ
ფანქარი - մատիտ
მიჯდებოდა - նստում էր
მყუდრო - անդորր
წიკწიკა - մանրիկ
ასოები - տառեր
მოვგვარო სიხარული - ուրախություն պատճառեմ
დააბეჭდვინებდა - տպագրել էր տալիս

მზე და წვიმა
Արև և անձրև

ერთ გლეხკაცს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი მხვნელ-მთესველს მისცა ცოლად, მეორე-თიხის ჭურჭლის ოსტატს.

გავიდა ხანი და ცოლმა უთხრა გლეხს:

-წადი, ნახე, შენი შვილები როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ და რა ულხინთო!

გლეხი მართლაც წავიდა. მიადგა მხვნელ-მთესველი სიძის კარს. მოიკითხეს ერთმანეთი. გლეხმა ჰკითხა სიძეს:

-შენს მოსავალს რა პირი უჩანსო?

-აბა, რა გითხრა, თუ ამ ერთ კვირაში წვიმა არ მოვიდა, სულ დავიღუპებით.

გლეხი ახლა მეორე სიძესთან მივიდა. იმასაც ჰკითხა:

-როგორ არის შენი საქმე, ჭურჭელი ბლომად გაგიკეთებია, ხომ მაგრად შეხვდება ამ ზამთარსო?

-აბა, რა გითხრა,- უპასუხა სიძემ,- თუ ამ ერთ კვირაში სულ მზიანი დღეები იქნება, კარგა გამოვაშრობ ჭურჭელს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, და თუ წვიმა გათყვრა-დავიღუპებითო.

დაბრუნდა გლეხი შინ. ცოლმა ჰკითხა:

-როგორ არიან ჩვენი შვილები?

ამ ერთ კვირაში ან ერთი დაგვეყუპება, ან მეორე,- უპასუხა გლეხმა.

Բառացանկ
სიტყვანი

ჰყავდა - ուներ
მხვნელ-მთესველი - հերկող-ցանող
თიხის ჭურჭლის ოსტატს –կավագործ վարպետ՝ բրուտ
ცხოვრობენ - ապրում են

რა უჭირთ - ինչի կարիք ունեն
რა ულხინთო - ինչով են զվարճանում
მოიკითხეს – հարցուփորձ արեցին
მოსავალს რა პირი უჩანსო - բերքդ ինչպիսին է
წვიმა - անձրև
დავიღუპებით - կկործանվենք
ჭურჭელი - ամանեղեն
მაგრად შეხვდება - լավ կդիմավորեն
მზიანი - արևոտ
გამოვაშრობ - կչորացնեմ
ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს - իմ բախտը կբերի
დაგვეყუპება - կկործանվի

ასეთ მზეს რა გაუძლებსო?!
Այսպիսի արեգակին ի՞նչը կդիմանա

ერთ სოფელში ერთი ზარმაცი კაცი იყო. დღედაღამ იწვა და ეძინა, ცოლშვილი კი მშიერი და გაწვალებული ჰყავდა.

ერთ დღეს ცოლმა უთხრა:

-კაცო, შენ სულ გძინავს, და არაფერს აკეთებ, აბა, ასე როგორ იქნება. ხომ ხედავ, აგერ როგორი ზამთარი მოვიდა, სიცივით ხომ არ უნდა დაგვხოცო, შეშის მოტანა მაინც ხომ შეგიძლია, ხელი გაანძრიეო!

ზარმაცმა უპასუხა:

-მოიცადე, ქალო, ცოტა კიდევ, აგერ ზაფხული მოვა, ამ ზამთარში წვალებას როგორ დავივიწყებ, ზაფხულში სულ შეშის ზიდვაში ვიქნებიო.

გავიდა ზამთარი, ცოლ-ქმრის სული ძლივსღა შერჩათ. ცოლმა ისევ უთხრა ქმარს: აი, გაანძრიე, ნუღარ იგვიანებო!

ზარმაცი ისევ მხარეძოზე წამოწვა. ცოლმა

-რატომ გძინავს, რატომ არ ამზადებ შეშას ზამთრისათვის, ახლა ხომ თოვლი არ არის, თბილაო?

-შენ სულელი ხომ არა ხარ, ქალო, ვერა ხედავ, როგორი სიცხეა, განა ასეთ მზეს თოვლი გაუძლებსო?!- უპასუხა ცოლს და არხეინად დაიძინა.

Բառացանկ
სიტყვანი

ზარმაცი – ծույլ, անբան
დღედაღამ იწვა- օրուգիշեր պառկում էր
გაწვალებული - տանջված, չարչարված
სულ გძინავს - անընդհատ քնում ես
ხელი გაანძრიე - տեղիցդ շարժվիր
ზამთარი - ձմեռ
არ უნდა დაგვხოცო - չպիտի կործանվենք
შეშის მოტანა - փայտ բերել
კვლავ უსაყვედურა - նորից նախատեց
შეშის ზიდვაში ვიქნებიო - անընդհատ փայտ կկրեմ
ასეთ მზეს თოვლი გაუძლებსო?!- այսպիսի արևին ձյուն կդիմանա՞:

Քերականական տերմինների
հայերեն-վրացերեն բառարան
გრამატიკული ტერმინების
სომხურ - ქართული ლექსიკონი

Ա - ა

Ածական անուն - ზედსართავი სახელი
Ածանց - აფიქსი, სართი
Ածանցավոր բայեր - წარმოებული ზმნები
Ածանցավոր բառեր - წარმოებული სიტყვები
Անանցողական բայեր - გარდაუვალი ზმნები
Անդեմ բայեր - უპირო ზმნები
Անդեմ ձևեր - უპირო ფორმები
Անդեմ նախադասություն - უპირო წინადადება
Անենթակա նախադասություն - უქვემდებარო წინადადება
Անկախ նախադասություն - დამოუკიდებული წინადადება
Անկանոն բայեր - უწესო ზმნები
Անկատար դերբայ - უსრული მიმღეობა
Անկատար կերպ - უსრული ასპექტი
Անձնական դերանուն - პირის ნაცვალსახელი
Անձնավորում - გაპიროვნება
Անշաղկապ նախադասություն - უკავშირო წინადადება
Անորոշ դերանուն - განუსაზღვრელი ნაცვალსახელი
Անորոշ հոդ - განუსაზღვრელი ნაწევარი
Անջատման անուղղակի խնդիր - დაცილების ირიბი დამატება
Անջատման գիծ - განკვეთის ხაზი

Անվանական հոլով - სახელობითი ბრუნვა
Անցյալ ժամանակ - წარსული დრო
Անցողական բայեր - გარდამავალი ზმნები
Անուն - სახელი
Անուղղակի խնդիր - ირიბი დამატება
Անուղղակի խոսք - ირიბი ნათქვამი
Ապաթարց - აპოსტროფი
Ապառնի ժամանակ - მომავალი დრო
Առաջին դեմք - პირველი პირი
Առնմանություն - ასიმილაცია
Առոգանության նշաններ - საინტონაციო ნიშნები
Աստիճանավորում - გრადაცია
Արգելական հրամայական - უკუთქმითი ბრძანებითი
Արմատ - ძირი
Աֆորիզմ - აფორიზმი

Բ - ბ
Բազմակետ - მრავალწერტილი
Բազմապատկական բայեր - მრავალჯერადი ზმნები
Բաղադրյալ ստորոգյալ - შედგენილი შემასმენელი
Բայ - ზმნა
Բայածանց - ზმნის პრეფიქსი
Բայահիմք - ზმნის ფუძე
Բայանուն - სახელზმნა
Բայի անորոշ ձև - ზმნის განუსაზღვრელი ფორმა
Բայի կերպ - ზმნის ჯერობა
Բայի սեռ - ზმნის გვარი
Բանասիրություն - ფილოლოგია
Բառ - სიტყვა
Բառագիտություն - ლექსიკოლოგია

Բառաքննություն - ետիմոլոգիա
Բառակապակցություն - შესიტყვება
Բառակազմական բառարան - სიტყვაწარმოებითი ლექსიკონი
Բառակազմություն - სიტყვაწარმოება
Բառահիմք - ფუძე
Բառապաշար - ლექსიკა, სიტყვათა მარაგი
Բառարմատ - სიტყვის ძირი
Բառարան - ლექსიკონი
Բառացանկ - სიტყვანი
Բառգիրք - ლექსიკონი
Բառ - նախադասություն - სიტყვა - წინადადება
Բարբառ - დიალექტი
Բարբառագիտական բառարան - დიალექტოლოგიური ლექ-სიკონი
Բարբառագիտություն - დიალექტოლოგია
Բարդ - რთული
Բարդություն - კომპოზიტი
Բարդ նախադասություն - რთული წინადადება
Բարդ համադասական նախադասություն - რთული თანწყობილი წინადადება
Բացականչական նախադասություն - ძახილის წინადადება
Բացականչական նշան - ძახილის ნიშანი
Բացահայտյալ - განსაზღვრებითი სიტყვა
Բացահայտիչ – განკერძოება
Բացահայտության նշաններ - განმარტებითი ნიშნები
Բացառական հոլով – დაწყებითი ბრუნვა
Բացատրական բառարան - განმარტებითი ლექსიკონი

Գ - გ

Գիր - წერა

Գոյական անուն - არსებითი სახელი

Գործիական հոլով - მოქმედებითი ბრუნვა

Դ - დ

Դադար - პაუზა

Դասական թվական - რიგობითი რიცხვითი სახელი

Դարձված - ფრაზა

Դարձվածաբանական բառարան - ფრაზეოლოგიური ლექსიკონი

Դարձվածաբանություն - ფრაზეოლოგია

Դեմք - პირი

Դերանուն – ნაცვალსახელი

Դերբայ - მიმღეობა

Դիմավոր նախադասություն - პირიანი წინადადება

Ե - ე

Եզակի թիվ - მხოლობითი რიცხვი

Եղանակ - კილო

Ենթակա - ქვემდებარე

Ենթամնա - გადატანის ხაზი

Երկրորդ դեմք - მეორე პირი

Երկրորդական նախադասություն - მეორადი წინადადება

Զ - ზ

Զեղչված ենթակայով նախադասություն - ქვემდებარეგამოტოვებული წინადადება

Զեղչված ստորոգյալով նախադասություն - შემასმენელგამოტოვებული წინადადება

Զեղչում - შეკუმშვა

Զիջման պարագա - დათმობითი გარემოება
Զուգադրական քերականություն - ანალოგიური გრამატიკა
Զուգադրական լեզվաբանություն - ანალოგიური ენათმეცნიერება
Զուգադրական բառարան - პარალელური ლექსიკონი

Ը –

Ընդարձակ նախադասություն - გავრცობელი წინადადება
Ընդհանուր լեզվաբանություն - ზოგადი ენათმეცნიერება

Թ-ত

Թարգմանական բառարան - მთარგმნელობითი ლექსიკონი
Թերի նախադասություն - არასრული წინადადება
Թեքում - ფლექსია
Թիվ - რიცხვი
Թվի կարգ - რიცხვის კატეგორია
Թվական անուն - რიცხვითი სახელი

Ժ - ঝ

Ժամանակ - დრო
Ժամանակակից գրական հայերեն - თანამედროვე სომხური ლიტერატურული ენა
Ժամանակի մակբայ - დროის ზმნიზედა
Ժամանակի շաղկապներ - დროის კავშირები
Ժամանակի պարագա - დროის გარემოება
Ժխտական բայ - უარყოფითი ზმნა
Ժխտական բառ - უარყოფითი სიტყვა
Ժխտական դերանուն - უარყოფითი ნაცვალსახელი
Ժխտական խոնարհում - უარყოფითი უღლება

Լ – ლ

Լեզվաբանական ոճաբանություն - საენათმეცნიერო სტილი-სტიკა

Լեզվաբանություն - ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა

Լեզու - ენა

Լրացում - ამხსნელი/დამატება

Լրացման լրացում- ამხსნელის-ამხსნელი

Խ – ხ

Խնդիր - დამატება, ობიექტი

Խնդրառություն - მართვა

Խոնարհում - უღლება

Խոսք - მეტყველება, სიტყვა

Խոսքի մասեր - მეტყველების ნაწილები

Կ – კ

Կախման կետեր - დამოკიდებულების წერტილები

Կանոն - კანონი

Կապ - თანდებული

Կապակցություն - კავშირი

Կետադրական նշաններ - სასვენი ნიშნები

Կետադրություն - პუნქტუაცია

Կերպ -ასპექტი

Կոչական հոլով - წოდებითი ბრუნვა

Կոչական նախադասություն - წოდებითი წინადადება

Կրավորական բայ - ვნებითი ზმნა

Կրավորական սեռ - ვნებითი გვარი

Հ – Ֆ

Հաճախականության բառարան- სიხშირული ლექსიკონი
Համադասական շաղկապ - მაერთებელი კავშირი
Համադասական նախադասություն - თანწყობილი წინადადება
Համաձայնություն - შეთანხმება
Համառոտ նախադասություն - შეკვეცილი წინადადება
Համեմատական աստիճան - შედარებითი ხარისხი
Համեմատական քերականություն - შეპირისპირებული
    გრამატიკა
Հայոց լեզու - სომხური ენა
Հանգաբառարան - უკუქცევითი ლექსიკონი
Հասարակ անուն - საზოგადო სახელი
Հավաքական գոյական - კრებითი სახელი
Հատկացուցիչ - მართული მსაზღვრელი
Հատուկ գոյական - საკუთარი სახელი
Հարաբերական դերանուն - შედარებითი ნაცვალსახელი
Հարաբերական ածական - მიმართებითი ზედსართავი სახელი
Հարակատար դերբայ - ნამყოს მიმყოება
Հարցական դերանուն - კითხვითი ნაცვალსახელი
Հարցական նախադասություն - კითხვითი წინადადება
Հարցական նշան - კითხვის ნიშანი
Հետադրություն - თანდებული
Հիմք - ფუძე
Հնչյունաբանություն - ფონეტიკა
Հոգնակի թիվ - მრავლობითი რიცხვი
Հոլով - ბრუნვა
Հոլովում - ბრუნება
Հոմանիշ - სინონიმი
Հրամայական նախադասություն - ბრძანებითი წინადადება

Զ - ժ

Զայնավոր - ხმოვანი
Զայնարկություն - შორისდებული
Զևաբանություն - მორფოლოგია
Զևի մակբայ - ვითარების ზმნიზედა
Զևի պարագա - ვითარების გარემოება

Մ – ձ

Մակբայ - ზმნიზედა
Մակդիր - ეპითეტი
Մասնական բացահայտիչ - განკერძოებული მსაზღვრელი
Միավորիչ շաղկապ - მაჯგუფებელი კავშირი
Միավորյալ նախադասություն - შერწყმული წინადადება
Միջանկյալ բառ - ჩართული სიტყვა
Միջակետ - ორწერტილი /შუაწერტილი/
Միջանկյալ նախադասություն - ჩართული წინადადება
Միության գծիկ - შემაერთებელი ხაზი

Ն – ნ

Նախաբայ - თავსართი
Նախադասության անդամներ - წინადადების წევრები
Նախադասության գլխավոր անդամներ - წინადადების მთავარი წევრები
Նախադասության երկրորդական անդամներ - წინადადების არამთავარი წევრები
Նախադասություն - წინადადება
Նախադրություն - წინდებული
Ներգործական սեռ - მოქმედებითი გვარი
Ներկա ժամանակ - ახლანდელი დრო

Ներհակական շաղկապներ - მაპირისპირებელი კავშირები
Նպատակի պարագա - მიზნის გარემოება

Շ-Շ
Շաղկապ - კავშირი
Շարահյուսություն - სინტაქსი
Շեշտ - მახვილი

Ռ –
Ոճաբանություն - სტილისტიკა
Որակական ածական - ვითარებითი ზედსართავი სახელი
Որոշիչ - მსაზღვრელი
Որոշիչ ֆոդ - მსაზღვრელი ნაწევარი
Որոշյալ - განსაზღვრული
Որոշյալ դերանուն - განსაზღვრული ნაცვალსახელი

Չ - Ճ
Չակերտներ - ბრჭყალები
Չեզոք սեռ - საშუალო გვარი

Պ - Ֆ
Պակասավոր բայեր - უსრული ზმნები
Պայմանական եղանակ - პირობითი კილო
Պայմանի պարագա - პირობითი გარემოება
Պատճառի պարագա - მიზეზის გარემოება
Պատմողական հոլով - მოთხრობითი ბრუნვა
Պատմողական նախադասություն - თხრობითი წინადადება
Պարագա-გარემოება
Պարագայական հոլով - ვითარებითი ბრუნვა
Պարզ բայեր - მარტივი ზმნები

Պարզ նախադասություն - მარტივი წინადადება
Պարզ ընդարձակ նախադասություն - მარტივი გავრცობილი წინადადება
Պարզ համառոտ նախադասություն - მარტივი გაუვრცელობელი წინადადება
Պարզ ստորոգյալ - მარტივი შემასმენელი

Ս – ს

Սահմանական եղանակ - თხრობითი კილო
Սեռ-გვარი
Սեռական հոլով - ნათესაობითი ბრუნვა
Ստացական դերանուն - კუთვნილებითი ნაცვალსახელი
Ստացական հոդ - კუთვნილებითი ნაწევარი
Ստորադասական նախադասություն - ქვეწყობილი წინადადება
Ստորադասական շաղկապ - მაქვემდებარებელი კავშირი
Ստորակետ - მძიმე

Վ - ვ

Վանկ- მარცვალი
Վերաբերական - მოდალური სიტყვები
Վերացական գոյական - აბსტრაქტული არსებითი /სახელი/
Վերլուծություն - გარჩევა/ანალიზი
Վերջածանց - ბოლოსართი/სუფიქსი
Վերջակետ - წერტილი
Վերջավորություն – დაბოლოება

Տ – ტ

Տաղաչափություն - ლექსთწყობა
Տառ - ასო
Տառադարձություն - ტრანსკრიფცია

Տեղի մակբայ - ადგილის ზმნიზედა
Տեղի պարագա - ადგილის გარემოება
Տերմին - ტერმინი
Տերմինաբանություն - ტერმინოლოგია
Տերմինաբանական բառարան - ტერმინოლოგიური ლექსიკონი
Տողադարձ - გადატანა
Տրամաբանական շեշտ - ლოგიკური მახვილი
Տրական հոլով - მიცემითი ბრუნვა
Տրոհության նշաններ - განკვეთის ნიშნები

Ց – ց
Ցուցական դերանուն - ჩვენებითი ნაცვალსახელი
Ցուցական հոդ - ჩვენებითი ნაწევარი

ՈՒ – ՈՒ
Ուսումնական բառարան - სასწავლო ლექსიკონი
Ուղիղ խնդիր - პირდაპირი დამატება
Ուղղական հոլով - სახელობითი ბრუნვა
Ուղղակի խոսք - პირდაპირი ნათქვამი

Փ – ფ
Փակ վանկ - დახურული მარცვალი
Փակագիծ - ფრჩხილი
Փոխաբերություն - მეტაფორა
Փոխադարձ դերանուն – უკუქცევითი ნაცვალსახელი

Ք – ქ
Քանականական թվական - რაოდენობითი რიცხვითი სახელი
Քերականական դեմք - გრამატიკული პირი
Քերականական թիվ - გრამატიკული რიცხვი
Քերականական իմաստ - გრამატიკული აზრი

Քերականական կանոն - გრამატიკული კანონი
Քերականական ձև - გრამატიკული ფორმა
Քերականական սեռ - გრამატიკული სქესი
Քերականություն - გრამატიკა

Օ – ო

Օժանդակ բայ - დამხმარე ზმნა

Օգտագործված գրականություն
გამოყენებული ლიტერატურა

1. Էդ. Աղայան, Հովհ. Բարսեղյան, Հայոց լեզու (դասագիրք V-VII դասարանների համար), Երևան, 1994:
2. Մ. Ասատրյան, ժամանակակից հայոց լեզու (Հնչյունաբանություն, բառագիտություն, բառակազմություն), Երևան, 1982:
3. Ակակի Շանիձե, Հին վրացերենի քերականություն, Երևան, 1983:
4. Պ. Պողոսյան, Հայոց լեզու, Օժանդակ ձեռնարկ բուհ ընդունվողների համար, Երևան, 1969:
5. Գուրգեն Սևակ, Ժամանակակից հայոց լեզու, Երևան, 1955:
6. Д. Джавахия, Учебник грузинского языка (Для негрузин), Тбилиси, 2008.
7. Ст. Клдиашвили, Р. Картвели, Русского–грузинский разговорник, Тбилиси, 2008.
8. Сопоставительная грамматика русского и грузинского языков, Тбилиси, 1970.
9. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 2001.
10. ა. შანიძე, ე. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I (ფონეტიკა და მორფოლოგია), თბილისი, 1969.

Բովանդակություն
ს ა რ ჩ ე ვ ი

Ներածություն 5
წინასიტყვაობა
Հնչյունաբանություն. վանկ և տողադարձ 15
ფონეტიკა: მარცვალი და სიტყვათა გადატანის წესი
Շեշտ.....18
მახვილი
Հնչյունական հիմնական առանձնահատկությունները.....21
ძირითადი ფონეტიკური წესები
Իմաստազատիչ հնչյուններ 25
აზრის გამომყოფი ასოები
Ուղղագրություն.....27
მართლწერა
Բառագիտություն 30
ლექსიკოლოგია
Արմատ, հիմք, ածանց.....31
ძირი, ფუძე, აფიქსი
Ձևաբանություն.Խոսքի մասեր.....40
მორფოლოგია: მეტყველების ნაწილები
Գոյական անուն 42
არსებითი სახელი
Քերականական սեռի մասին.....42
გრამატიკული სქესის შესახებ
Շնչավոր և անշունչ առարկաներ.....45
სულიერი და უსულო საგნები

Հոլովները, նրանց հարցերը և վերջավորությունները 46
ბრუნვები, მათი კითხვები და ნიშნები
Հոլովում..... 47
ბრუნება
Անվանական հոլով 48
სახელობითი ბრუნვა
Պատմողական հոլով 51
მოთხრობითი ბრუნვა
Տրական հոլով 54
მიცემითი ბრუნვა
Սեռական հոլով 57
ნათესაობითი ბრუნვა
Գործիական հոլով..... 59
მოქმედებითი ბრუნვა
Պարագայական հոլով 61
ვითარებითი ბრუნვა
Կոչական հոլով..... 63
წოდებითი ბრუნვა
Գոյականի հոգնակի թվի կազմությունը..... 68
არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება
Գոյականների հոլովումը. գոյականների խմբերը ըստ հոլովման..... 70
არსებით სახელთა ბრუნება: სახელთა ჯგუფი ბრუნების მიხედვით
Կայուն հիմքով գոյականների հոլովումը…… 71
ფუძეუკუმშველ სახელთა ბრუნება
Անկայուն հիմքով գոյականների հոլովումը 72
ფუძეკუმშვადი სახელების ბრუნება
Ձայնավորավերջ գոյականների հոլովումը 75
ფუძეკვეცადი სახელების ბრუნება
Չվերջատվող հիմքով անուններ 78
ფუძეუკვეცელი სახელები
Սղվող-հատվող գոյականների հոլովումը 79
კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნება

Հատուկ անունների հոլովումը 80
Սակայն ձև հոլովվող գոյականներ 82
Գոյականի թիվը 82
Հետադրությամբ հոլովներ 84
Մասնիկավոր հոլովներ 87
Հոլովմանն առնչվող ուղղագրություն 88
Ածական անուն 91
Ածական անունների հոլովումը 92
Ածական անունների հոլովումը գոյականների հետ 94
Բաղաձայնավերջ ածականները՝ գոյականներից առաջ 95
Ածականները՝ գոյական անուններից հետո 96
Ածականի գործածությունը գոյականաբար 97
Գոյականների գործածությունը ածականաբար 98
Ածականների համեմատության աստիճանները 99
Ածական անունների կազմությունը 103
Ածականների կազմությունը խոսքի մասերից 103
Ածականների կազմությունը վերջածանցներից 104

Թվական անուն 109
Ռուցեղվոնոտ սանելի
Քանակական թվականների հոլովումը 111
ՌաոդենոՁոնոտ ռուցեղվոնոտ սանելենեՁ ՁՌուենեՁա
Դասական թվականների հոլովումը 112
ՌոՁոՁոնոտ ռուցեղվոնոտ սանելենեՁ ՁՌուենեՁա
Կոտորակային թվականների հոլովումը 113
ՁՌիլոՁոնոտ ռուցեղվոնոտ սանելենեՁ ՁՌուենեՁա
Թվականների կազմությունը 116
Ռուցեղվոնոտ սանելենեՁ ՁՌարմոՁա
Թվականների հոլովումը 118
Ռուցեղվոնոտ սանելոնա ՁՌուենեՁա
Թվականների հոլովումը ինքնուրույն 119
Ռուցեղվոնոտ սանելոնա ՁՌուենեՁա դամոՁուկոՁդենՁլաՁ
Դերանուն 124
ՌաՁՁալսանելի
Դերանունների տեսակները 124
ՌաՁՁալսանելոնա ՁՁՁՁուՁՁենեՁ
Դերանունների հոլովումը 128
ՌաՁՁալսանելոնա ՁՌուենեՁա
Անձնական դերանունների հոլովումն ինքնուրույն 128
ՁՌիրոն ՌաՁՁալսանելոնա ՁՌուենեՁա դամոՁուկոՁդենՁլաՁ
ՁՌուցական դերանունների հոլովումն ինքնուրույն 130
ՁՌվենենՁոնոտ ՌաՁՁալսանելոնա ՁՌուենեՁա դամոՁուկոՁդենՁլաՁ
ՁՌուցական դերանունների հոլովումը գոյականների հետ 131
ՁՌվենենՁոնոտ ՌաՁՁալսանելենեՁ ՁՌուենեՁա արսենՁոնոտոնա
Ստացական դերանունների հոլովումը 132
ՌկոտՁՁնիլենՁոնոտ ՌաՁՁալսանելոնա ՁՌուենեՁա
Հարցական դերանունների հոլովումը 133
ՌկոտեՁՁոնոտ ՌաՁՁալսանելոնա ՁՌուենեՁա
Հարաբերական դերանունների հոլովումը 134
ՁՌիմարտենՁոնոտ ՌաՁՁալսանելոնա ՁՌուենեՁա

Ժխտական դերանունների հոլովումը 135
ՈՒարկոֆոտ ճացվալսահելոտա ՝ՐՈՒՆԵՐ
Անորոշ դերանունների հոլովումը 136
ՐՈՒՆԵՐ ՀՈՒՆԵՐ ՀՈՒՆԵՐ
Բ ա յ..... 137
ՀՈՒՆԵՐ
Դեմք և թիվ..... 142
ՀՈՒՆԵՐ ՀՈՒՆԵՐ
Սերիա..... 145
ՀՈՒՆԵՐ
Բայաշարքեր 145
ՀՈՒՆԵՐ
Ենթախումբ..... 146
ՀՈՒՆԵՐ
Բայերի խոնարհումը 149
ՀՈՒՆԵՐ
Շարքերի կազմությունը..... 155
ՀՈՒՆԵՐ
Բայի ժամանակը 157
ՀՈՒՆԵՐ
Բայերի խոնարհումը 158
ՀՈՒՆԵՐ
Բայի անորոշ ձևերը 160
ՀՈՒՆԵՐ
Բազմադիմություն..... 160
ՀՈՒՆԵՐ
Ենթակայական կառուցվածք 161
ՀՈՒՆԵՐ
Ենթակայի դեմքի և թվի արտահայտությունը..... 161
ՀՈՒՆԵՐ
Խնդրի դեմքի և թվի արտահայտությունը 163
ՀՈՒՆԵՐ

Ենթակայական կառուցվածք ունեցող բայերի
դիմային ցուցիչները 166
Սուբյեկտիվ ներգործության ձևանշանները
Խնդրային կառուցվածք ունեցող բայերի
դիմային ցուցիչները 168
Օբյեկտիվ ներգործության ձևանշանները
Բայական նախածանցներ 169
Ձևանշիչներ
Նախաբայերի նշանակությունը առանձին-առանձին 172
Ձևանշիչների մեկնաբանությունը ցալ-ցալկե
Բայի կերպը 176
Ձևանշանի ասպեկտը
Եղանակ 178
Կիլոն
Բայի սեռը 181
Ձևանշանի գծարը
Միջսեռային փոխանցումներ 186
Գծարից գծարի անցումը (կոնվերսիա)
Ներգործական սեռի փոխանցումը կրավորականի 188
Ներգործական ձևի անցումը ցեղանշանի
Երկբնույթ կրավորական 189
Ոչ ուղիղ ցեղանշան
Կրավորականի կազմությունը 190
Ցեղանշանի ազդեցությունը
Չեզոք սեռի բայեր 191
Ընդհանուր գծարի ձևանշանները
Չեզոք բայերի խմբերը 192
Ընդհանուր ձևանշանների ենթաբաժինները
Դարձույթ 194
Ներգործություն (վերսիա)
Կոնտակտ 200
Կոնտակտ

Թեմա 204
тема
Ինվերսիա 206
инверсия
Ակտ 208
акт
Անորոշ դերբայ 209
неопределенное
Կերպ 211
способ
Ձերոնձ
Բայանուն 212
сказуемое
Սահելզեմեն
Մակբայ 214
наречие
Զեմեզեդա
Հետադրություն 218
дополнение
Տանդեբուլ
Շաղկապ 221
союз
Կաշիրի
Մասնիկներ 225
частицы
Նաբիլակեբի
Ձայնարկություն 230
междометие
Շորինդեբուլ
Հավելված I. Բայեր, որոնց հետ գործածվող ենթակաները
դրվում են պատմողական հոլով 232
Զեմեբի, որոնց հետ գործածվող ենթակաները դրվում են ուղղական կամ տրական հոլով
Հավելված II. Բայեր, որոնց հետ գործածվող ենթակաները
դրվում են ուղղական կամ տրական հոլով 236
Զեմեբի, որոնց հետ գործածվող ենթակաները դրվում են սահելզեմեն կամ միցեմիտի բրունվի ֆորմիտ.
Հավելված III. Բայեր, որոնց խնդրային ø - ցուցիչը
հանդես է գալիս ենթակայական ց - ցուցիչի դերում 238

Հավելված IV. Առավել գործածական բայերի խոնարհումը
երեք հիմնական ժամանակով 241
ყველაზე ხშირად ხმარებული ზმნების უღლება
Տեքստեր ընթերցանության համար..... 250
საკითხავი მასალა
Քերականական տերմինների հայերեն-վրացերեն բառարան 284
გრამატიკული ტერმინების სომხურ - ქართული ლექსიკონი
Օգտագործված գրականություն 296
გამოყენებული ლიტერატურა

ՀՐԱՉՅԱ ԲԱՅՐԱՄՅԱՆ

ՎՐԱՑԵՐԵՆԻ ԴԱՍԸՆԹԱՑ

Հնչյունաբանություն
Բառագիտություն
Ձևաբանություն

Դասագիրք
բուհերի հումանիտար ֆակուլտետների համար

ჰრაჩია ბაირამიანი

ქართული ენის კურსი
ფონეტიკა
ლექსიკოლოგია
მორფოლოგია

სახელმძღვანელო
ჰუმანიტარული
ფაკულტეტებისათვის

Տպագրված է Time to Print օպերատիվ տպագրությունների սրահում:
ք. Երևան, Խանջյան 15/55

Ստորագրված է տպագրության՝ 15.09.2017:
Չափսը՝ 60x84 1/16: Տպ. մամուլը՝ 19.125:
Տպաքանակը՝100:

ԵՊՀ հրատարակչություն
ք. Երևան, 0025, Ալեք Մանուկյան 1
www.publishing.ysu.am